განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა,
უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 დეკემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კლინიკური ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული #44 12.03.2012 წ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნანა ბურდული** - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნათია სორდია** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**სალომე საბიაშვილი** - წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ირმა ქურდაძე** - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ჯინა შოგირაძე** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან. უნივერსიტეტის მისიის პრინციპების შესაბამისად, პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კლინიკური ფსიქოლოგის სპეციალისტის მომზადება, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს კლინიკურ ინტერვენციას და ფსიქოკონსულტირებას:

1. კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში, არსებულ მეთოდოლოგიაზე, პრინციპებზე, ტექნიკებზე, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებზე, აქტუალურ კლინიკურ ფსიქოლოგიურ სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით სიღრმისეულად აფასებს პიროვნების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.
2. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპებისა და ცოდნის გამოყენებით პროფესიულ საქმიანობაში ჩამოუყალიბოს დიაგნოსტირების, მკურნალობის, ჩარევის სტრატეგიების შერჩევის, ინფორმაციის ანალიზისა და დასკვნების უნარი. განუვითაროს სამეცნიერო და პროფესიულ სფეროში დისკუსიებში არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
3. გააზრებინოს ფსიქიკის ფიზიოლოგიური მექანიზმების, სხვა და სხვა ფიზიოლოგიური მახასიათებლების ცვლილებების, ფსიქოლოგიურ მდგომარეობებთან კავშირი.

კლინიკური ფსიქოლოგიის პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ESTS-ს, მათ შორის 60 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებს, 20 კრედიტი არჩევით კურსებს, 10 კრედიტი პრაქტიკულ კომპონენტს და 30 კრედიტი დათმობილი აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს, რაც ჯამში შეადგენს 3000 სთ-ს და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის საჭირო დროს. საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობა დგინდება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სტუდენტის დღიური დატვირთვა 15 კვირაზე გადაანგარიშებით არ აღემატება დღეში 4 საკონტაქტო საათს. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა არის 4 სემესტრი (2 წელი).

აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, უმეტესწილად, შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში ეპიდვითარების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შეფასება 2021 წლის 28-29 ოქტომბერს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს:

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, მეტწილად, ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია III, IV და V სტანდარტთან, ხოლო მეტწილ შესაბამისობაში — I, II, სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

1.2.

- შედეგები მეტად დაკონკრეტებული და სპეციფიკურია. მიზანშეწონილია, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად, გამსხვილებული და ზოგადი სახით ჩამოყალიბდეს ცოდნა-გაცნობიერებასთან, უნარებთან და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ასპექტები;
- მიზანშეწონილია ცალკეულ სილაბუსებში გაწერილი შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან;
- რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების ისე ფორმულირება, რომ იყოს გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი.

2.1.

- მიზანშეწონილია, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა იყოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის ფლობა.

2.2.

- მიზანშეწონილია გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი.

2.3.

- რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, პროგრამის ძირითად საგნებს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ი (მაგ. „თვისებრივი კვლევის მეთოდები“);

- რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, პროგრამის ძირითად საგნებს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც კლინიკურ შეფასებასა და დიაგნოსტირებაზე იქნება მიმართული და პროგრამის მიზანს მეტად მიღწევადს გახდის.
- მიზანშეწონილია, გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი და მოხდეს მათი რეფორმულირება პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.

2.4.

- მიზანშეწონილია, პროგრამამ მეტად უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება.

4.1.

- მიზანშეწონილია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1.

- სასურველია პროგრამის მიზანში გამოიკვეთოს ფოკუსი თერაპიულ მიდგომასა და სამიზნე ჯგუფზე, ვისთანაც მოხდება ამ თერაპიული მიდგომის გამოყენებით მუშაობა;
- სასურველია მოხდეს მიზნების რეფორმულირება, დაზუსტდეს ცნებები, რათა ცხადი გახდეს მათი შინაარსი.

1.2.

- სასურველია დაზუსტდეს ცალკეული ცნებები და მოხდეს მათი გამოყენება თანმიმდევრულად. (მაგ. პროგრამის ერთ-ერთ შედეგში ვკითხულობთ „არკვევს ფსიქიკურ, სომატურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს“ - ბუნდოვანია განსხვავება სომატურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს შორის. ასევე, ვკითხულობთ „იყენებს ფსიქოთერაპიაში აღიარებულ ტექნიკებს პაციენტებთან/კლიენტებთან: ნევროზული რეგისტრის მქონე პაციენტებთან, ადიქტებთან და კონფლიქტში მყოფ წყვილებთან.“ უნდა გამოვიყენოთ ტერმინი დამოკიდებული ადიქტის ნაცლად და ა.შ. ასევე, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს კონსულტირება თერაპიული ინტერვენციისგან და მოხდეს რელევანტური ცნების კონსისტენტურად გამოყენება).

2.6.

- სასურველია, სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები იყოს მეტად სპეციფიკური კონკრეტული კურსებისთვის, რაც განაპირობებს მათ შესაბამისობას სწავლის შედეგებთან.

3.2.

- სასურველია გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომთა ხელმძღვანელების რაოდენობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების მისაღწევად, სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სტატიის სახით გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.

4.1.

- სასურველია, პროგრამაში არსებულ პრაქტიკულ სასწავლო კურსებს უძღვებოდნენ ამ დარგში სიღრმისეული თეორიული ცოდნის გარდა, შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები.

4.2.

- სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად გააქტიურდნენ როგორც კვლევითი საქმიანობის (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

2.6.

- უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული პორტალი არის გამართული, ასახულია სტუდენტისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია; ხელმისაწვდომია ელექტორნული ბიბლიოთეკა, რომელშიც იძებნება სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, კლასიკური და თანამედროვე სამეცნიერო კვლევების ამსახველი სტატიები; არის მარტივი საკომუნიკაციო საშუალება სტუდენტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალს შორის.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეეხო არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის ზრდას. მაგალითად, სტუდენტებს პროგრამაში არსებული სასწავლო კომპონენტებტების გარდა შეეთავაზება ახალი არჩევითი კურსები: სუიციდის ფსიქოლოგია და პორევენცია; ასევე, ფსიქოტრავმატოლოგია.

განახლდა არსებული სასწავლო კურსების თემატიკა, სასწავლო ლიტერატურა, დაიხვეწა სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა. სწავლების მეთოდების შერჩევისასას სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირების მიერ გათვალისწინებულია მეთოდების შესაბამისობა დასახულ მიზანთან;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას გარკვეულწილად შეესაბამება ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები. პროგრამის მიზანი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაა, რომლებიც მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკისა და ცოდნის გამოყენებით შეძლებენ სამეცნიერო და პროფესიულ სფეროში წარმართულ დისკუსიებში ჩართვას და არგუმენტირებულ მსჯელობას. პროგრამიდან ასევე ჩანს, რომ მიზანი ისეთი სპეციალისტის მომზადებაა, რომელიც „კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს კლინიკურ ინტერვენციას და ფსიქოკონსულტირებას“. მიზანი ჩაშლილია და აქცენტი კეთდება კლინიკური ფსიქოლოგიის კურსდამთავრაბულის ისეთ უნარებზე, როგორიცაა ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირება და მკურნალობა. ბუნდოვანია, თუ რას მოიაზრებს ცნება „მკურნალობა“ და სცდება თუ არა ის კონსულტირებაში ნაგულისხმევ შინაარსს. მიზანში ხსენებული „კომპეტენციის ფარგლების“ დადგენის მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამის ფარგლებში დიაგნოსტირებისა და ინტერვენციის სამიზნე არ არის დაკონკრეტებული და ის შეიძლება იყოს, როგორც სკოლამდელი ან სასკოლო ასაკის, ასევე ზრდასრული ბენეფიციარი. ასევე არ არის დაკონკრეტებული მეთოდი, რომლის ათვისებასაც, 2 წლის მანძილზე, ისე შეძლებს სტუდენტი, რომ გამოიყენოს პაციენტებთან/კლიენტებთან მუშაობისას. მოგეხსენებათ ასეთი ტექნიკების ფართო სპექრტი აქვს ფსიქოლოგიას, ფსიქოანალიტიკური მიდგომის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები იქნება, გეშტალტფსიქოლოგიის ფარგლებში გამოყენებული ტექნიკები, ჰუმანისტური თერაპია, სხეულზე ორიენტირებული თერაპია თუ კოგნიტურ-ბიჰევიორალური მიდგომის მომხრეთა სტრატეგიები. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ფსიქოთერაპიულ მიდგომებს შორის, რომელთა დასაუფლებლადაც წლობით ინტენსიური სწავლა და სუპერვიზიაა საჭირო, სანამ მისი გამოყენების უფლებას მიიღებს კლინიკური ფსიქოლოგი. ასევე, არსებობს მთელი რიგი სტრატეგიების, რომელთა გამოყენებაც კონკრეტულად და მხოლოდ სპეციფიკური საჭიროებების მქონე ბავშვებთან ხდება (მაგ. სურათებით კომუნიკაციის სისტემა აუტიზმის მქონე ბავშვების შემთხვევაში) და ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკა დიდწილად განსხვავდება ზრდასრულებთან მუშაობის სპეციფიკისგან. შესაბამისად, სასურველია პროგრამის მიზანში გამოიკვეთოს

ფოკუსი თერაპიულ მიდგომაზე და სამიზნე ჯგუფზე, ვისთანაც მოხდება ამ თერაპიული მიდგომის გამოყენებით მუშაობა. პროგრამის სტრუქტურასა და მიზნებს უფრო მკაფიოს გახდის თუ განისაზღვრება კონსულტირების სამიზნე ბავშვები და მოზარდები არიან თუ ზრდასრულები. ეს მთლიანად ცვლის ფსიქოლოგიური შეფასებისა და დიაგნოსტირების თუ ფსიქოკონსულტირების სურათს.

ასევე, პროგრამის მიზნებს შორის ვხვდებით ასეთს: „გააზრებინოს ფსიქიკის ფიზიოლოგიური მექანიზმების, სხვადასხვა ფიზიოლოგიური მახასიათებლების ცვლილების, ფსიქოლოგიურ მდგომარეობებთან კავშირი“. ბუნდოვანია ამ მიზანში ნაგულისხმევი შინაარსი ეხება თუ არა სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნისა და კრიტიკული გააზრების უნართან დაკავშირებულ მიზანს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა - დანართი 1.1.1
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგიული განვითარების გეგმა - დანართი 1.1.2; 1.1.3; 1.1.4
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის მიზანში გამოიკვეთოს ფოკუსი თერაპიულ მიდგომასა და სამიზნე ჯგუფზე, ვისთანაც მოხდება ამ თერაპიული მიდგომის გამოყენებით მუშაობა;
- სასურველია მოხდეს მიზნების რეფორმულირება, რათა ნათელი გახდეს მათი შინაარსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის

დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შედეგების შემუშავების პროცესში სხვადასხვა გზით არიან ჩართული დაინტერესებული მხარეები. განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შეფასება ხდება სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები და ხდება სწავლის შედეგების შეფასება ამ ნიშნულების მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უკუკავშირის, დამსაქმებელთა უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება. ამის ერთ-ერთი მაგალითია, უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში ისეთი სავალდებულო კურსის შეტანა, როგორიცაა „სპეციალური სტატისტიკური პროგრამა სოციალური მეცნიერებებისათვის SPSS“.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. შედეგებიდან ჩანს, რომ კურსდამთავრებული განიხილავს ფსიქოპათოლოგიის სხვადასხვა ფორმებს, კლინიკურ ფსიქოლოგიაში არსებულ მეთოდებსა და ტექნიკებს. აფასებს პათოლოგიის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებას, სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ამუშავებს მონაცემებს და ახდენს შედეგების ინტერპრეტირებას. შედეგები მეტად დაკონკრეტებული და სპეციფიკურია. სასურველია, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად, გამსხვილებული და ზოგადი სახით ჩამოყალიბდეს ცოდნა-გაცნობიერებასთან, უნარებთან და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ასპექტები.

შედეგების ფორმულირება სპეფიკური და არათანმიმდევრულია. რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთი და იგივე მნიშვნელობით ვხვდებით ცნებებს „კონსულტირება“ და „თერაპია“. სამაგისტრო კურსის ფარგლებში კონსულტირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დაუფლება რეალისტურია, რასაც ვერ ვიტყვით ფსიქოთერაპევტისთვის საჭირო ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობაზე. მით უმეტეს როცა არ არის დაკონკრეტებული ფსიქოთერაპიის კონკრეტული მიმართულება და სამიზნე ჯგუფი. (მაგ. ერთ-ერთი შედეგის თანახმად კურსდამთავრებული *„იყენებს ფსიქოთერაპიაში აღიარებულ ტექნიკებს პაციენტებთან/კლიენტებთან: ნევროზული რეგისტრის მქონე პაციენტებთან, ადიქტებთან და კონფლიქტში მყოფ წყვილებთან. შეუძლია დამოკიდებულების მქონე კლიენტის იდენტიფიცირება და კონსულტირების გაწევა კლიენტისა და მისი ოჯახის წევრებისთვი“.* ამ შედეგში კონსულტირებაზეა საუბარი მაშინ, როცა იქვე ვკითხულობთ, რომ კურსდამთავრებული *„თერაპიულ პროცესში ქმნის და ამკვიდრებს კლიენტის უპირობო მიღებისა და პატივისცემის ატმოსფეროს...“*.). სხვადასხვა თერაპიული ტექნიკების შესახებ სიღრმისეული ცოდნის მქონე კურსდამთავრებული

შეძლებს პრობლემის იდენტიფიცირებას, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას პაციენტისთვის და მის გადამისამართებას შესაბამის თერაპევტთან. თერაპიული ინტერვენციის/მკურნალობის უნარიანი კურსდამთავრებულის მიღება, როგორც პროგრამის სწავლის შედეგი, ნაკლებად რეალისტურია 2-წლიანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, სასურველია მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ფსიქოკონსულტირება და ფსიქოთერაპია.

ამასთან, პროგრამის სწავლის ერთ-ერთ შედეგში ვკითხულობთ: „პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან კონსულტირების დროს ფსიქოთერაპიული ტექნიკების გამოყენება“ - ბუნდოვანია თუ როგორ ხდება ამ შედეგის გაზომვა? შესაბამისად, რეკომენდირებულია, პროგრამის ყველა შედეგი ისე იყოს ფორმულირებული, რომ შესაძლებელი იყოს მათი გაზომვა.

მრავალფეროვანია იმ სავალდებულო საგანთა ჩამონათვალი, რომელსაც კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა სთავაზობს სტუდენტს. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობას იწყებს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან, თუმცა სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში არ არის არცერთი საგანი, რომელიც ბავშვებთან და მოზარდებთან არსებული ფსიქოლოგიური პრობლემების რაობას, შეფასების მეთოდებსა და მართვის სტრატეგიებს შეეხება. (თუმცა პროგრამაში დეკლარირებული სწავლის შედეგებიდან და ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ პროგრამა მხოლოდ ზრდასრულ ბენეფიციარებზე არ ფოკუსირდება). (იხ. სტანდარტი 2.3).

სამაგისტრო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ნაკლებად შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული კურსების სილაბუსებში ასახულ მიზნებსა და შედეგებს. (იხ. სტანდარტი 2.3) მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოვიდეს ცალკეული სილაბუსების სწავლის შედეგები.

სასურველია დაზუსტდეს ცალკეული ცნებები და მოხდეს მათი გამოყენება თანმიმდევრულად. მაგ. პროგრამის ერთ-ერთ შედეგში ვკითხულობთ „არკვევს ფსიქიკურ, სომატურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს“ ბუნდოვანია განსხვავება სომატურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს შორის. ასევე, ვკითხულობთ „იყენებს ფსიქოთერაპიაში აღიარებულ ტექნიკებს პაციენტებთან/კლიენტებთან: ნევროზული რეგისტრის მქონე პაციენტებთან, ადიქტებთან და კონფლიქტში მყოფ წყვილებთან.“ უნდა გამოვიყენოთ ტერმინი ნივთიერებებზე დამოკიდებული ადიქტის ნაცლად.

აღსანიშნავია, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს ინტერნაციონალიზაციისთვის აუცილებელი საფუძვლის და საჭირო უნარის განვითარებაში იმდენად, რამდენადაც სთავაზობს ინგლისური ენის კურსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა - დანართი 1.2.1.
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა - დანართი 1.2.3;
- ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების,
- შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი- დანართი 1.2.4
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N5. დანართი 1.2.6
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ოქმი#2 - დანართი 1.2.7
- დამსაქმებლების გამოკითხვა. დანართი 1.2.8

- პერსონალის გამოკითხვის შედეგები - დანართი 1.2.10
- სწავლა-სწავლების მეთოდების განსაზღვრა, სამუშაო ჯგ. ოქმიN6. დანართი 1.2.12
- სტუდენტების გამოკითხვა. დანართი 1.2.13
- პროგრამის სამიზნე ნიშნულები დანართი 1.2.14
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- შედეგები მეტად დაკონკრეტებული და სპეციფიკურია. მიზანშეწონილია, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად, გამსხვილებული და ზოგადი სახით ჩამოყალიბდეს ცოდნა-გაცნობიერებასთან, უნარებთან და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ასპექტები.
- მიზანშეწონილია ცალკეულ სილაბუსებში გაწერილი შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან.
- რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების ისე ფორმულირება, რომ იყოს გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაზუსტდეს ცალკეული ცნებები და მოხდეს მათი გამოყენება თანმიმდევრულად. მაგ. პროგრამის ერთ-ერთ შედეგში ვკითხულობთ „არკვევს ფსიქიკურ, სომატურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს“ ბუნდოვანია განსხვავება სომატურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს შორის. ასევე, ვკითხულობთ „იყენებს ფსიქოთერაპიაში აღიარებულ ტექნიკებს პაციენტებთან/კლიენტებთან: ნევროზული რეგისტრის მქონე პაციენტებთან, ადიქტებთან და კონფლიქტში მყოფ წყვილებთან.“ უნდა გამოვიყენოთ ტერმინი ნივთიერებებზე დამოკიდებული ადიქტის ნაცლად და ა.შ. ასევე, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს კონსულტირება თერაპიული ინტერვენციისგან და მოხდეს შესაბამისი ცნების თანმიმდევრულად გამოყენება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✔		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს დადგენილების მიხედვით. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხი ან ბაკალავრიატის საფეხურზე გავლილი აქვს ფსიქოლოგიის minor პროგრამა (60 კრედიტი) ან ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო

პროგრამის ფარგლებში, თავისუფალი კრედიტების სახით ათვისებული აქვს ფსიქოლოგიის დარგის კრედიტები (მინიმუმ 50 კრედიტი), რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა. ამასთან, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ერთ-ერთი წინაპირობაა უცხო ენაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობისა და შიდა მობილობის გზით რექტორის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობა, მიზანშეწონილია, რომ მინიმუმ ბაკალავრის ხარისხის ქონა იყოს. იმდენად, რამდენადაც სტუდენტები, რომლებსაც მხოლოდ ფსიქოლოგიის minor პროგრამა აქვთ გავლილი ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აქვთ მინიმუმ 50 კრედიტი ათვისებული, არ ფლობენ იმ აუცილებელ და საკმარის ცოდნასა და უნარებს, რაც კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში მათ კონკურენტუნარიანს გახდის. ამასთან, კლინიკური ფსიქოლოგის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეხება აქვს ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის ან შეფასება/დიაგნოსტირებასთან, ან კონსულტირებასთან, რაც საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესი - დანართი 2.1.1 ○ საგანმანათლებლო პროგრამა - დანართი 2.1.2; ○ 6. კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ დანართი 2.1.6. ○ ვებგვერდი www.bsu.edu.ge ○ სამუშაო ჯგუფის ოქმი N3- დანართი 2.1.9
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა იყოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის ფლობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის გათვალისწინებით და ბსუ-ში შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს უკანასკნელი დეტალურად მოიცავს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა არის 4 სემესტრი (2 წელი). პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ESTS-ს, მათ შორის 60 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებს, 20 კრედიტი არჩევით კურსებს, 10 კრედიტი პრაქტიკულ კომპონენტს და 30 კრედიტი დათმობილი აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს, რაც ჯამში შეადგენს 3000 სთ-ს და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის საჭირო დროს. საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობა დგინდება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სტუდენტის დღიური დატვირთვა 15 კვირაზე გადაანგარიშებით არ აღემატება დღეში 4 საკონტაქტო საათს.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამა ერთი მხრივ, ორიენტირებულია ექსპერიმენტული კვლევის მეთოდების და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე და იმპლემენტაციაზე პრაქტიკულ საქმიანობაში, რასაც ადასტურებს სასწავლო პრაქტიკული კურსები „პროფესიული პრაქტიკა“, „სპეციალური სტატისტიკური პროგრამა სოციალური მეცნიერებებისათვის SPSS“ და პროგრამის ძირითადი კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც პროგრამის სტრუქტურაში 30 კრედიტი აქვს დათმობილი. როგორც წესი, სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების შემაჯამებელ კომპონენტს.

თუმცა, მეორე მხრივ, კითხვები ჩნდება იმასთან მიმართებით, თუ 1, როგორ მიიღწევა პროგრამის მიზანი (*კლინიკური ფსიქოლოგის სპეციალისტის მომზადება, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს კლინიკურ ინტერვენციას და ფსიქოკონსულტირებას)* ისეთი სასწავლო კურსის გარეშე, როგორიც „შეფასება და დიაგნოსტირებაა“; და ასევე, 2. როგორ მიიღწევა პროგრამის სწავლის ის შედეგი, რომელიც კლინიკურ ფსიქოლოგიაში სიღრმისეული კვლევის ჩატარებას გულისხმობს ისეთი სასწავლო კურს(ებ)ის გარეშე,

როგორიც ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებია (რომლის გარეშეც სამაგისტრო ნაშრომის შესრულება წარმოუდგენელია). მიზანშეწონილია, გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი კოპონენტი (დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ი) და ასევე, გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი (დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსი), რომელიც პროგრამის მიზანს მეტად მიღწევადს გახდის. (იხ სტანდარტი 2.3). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ○ უსდ-ის ვებგვერდი; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვა ○ ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოამდგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს

აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსებით გათვალისწინებული კრიტერიუმები, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეშვიდე საფეხურის მოთხოვნების გათვალისწინებით, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტები – სასწავლო კურსები, გარკვეულწილად ითვალისწინებს სილაბუსში მითითებული კომპეტენციების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდი შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ერთი მხრივ, სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების, არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსების ერთობლიობა სფეროს დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავების საფუძველს ქმნის; და ამავე დროს, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსებში დიდი ყურადღება ეთმობა კვლევითი და პრაქტიკული უნარ–ჩვევების გამომუშავებას, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ამ თვალსაზრისით გარკვეული გამოწვევები არსებობს. მაგალითად, კითხვები ჩნდება იმასთან მიმართებით თუ როგორ მიიღწევა პროგრამის მიზანი (კლინიკური ფსიქოლოგის სპეციალისტის მომზადება, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს კლინიკურ ინტერვენციას და ფსიქოკონსულტირებას) ისეთი სასწავლო კურსის გარეშე, როგორიც „შეფასება და დიაგნოსტირებაა“; და ასევე, როგორ მიიღწევა პროგრამის სწავლის ის შედეგი, რომელიც კლინიკურ ფსიქოლოგიაში სიღრმისეული კვლევის ჩატარებას გულისხმობს, ისეთი სასწავლო კურს(ებ)ის გარეშე, როგორიც ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებია (რომლის გარეშეც სამაგისტრო ნაშრომის შესრულება წარმოუდგენელია). ვინაიდან პროგრამა ფოკუსირებულია კლინიკური შემთხვევების შესწავლაზე, მიზანშეწონილია, კვლევის რაოდენობრივ მეთოდებთან ერთად, თვისებრივი მეთოდების შესასწავლი და ამ მეთოდით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებაზე ორიენტირებული კურს(ებ)ის დამატება.

ასევე, კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება. ჩამონათვალში ვხვდებით ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა „ფუნქციონირების პატერნებისა და პიროვნებათშორისი ურთიერთობების აშლილობები“, „ნევროზული რეგისტრის აშლილობები და კბთ“; „ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციათა აშლილობები“. ამ სამი საგნის სილაბუსებში განხილულია თემები, რომლებიც კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრანტს წარმოდგენას შეუქმნის ფსიქოპათოლოგიის ცალკეული ფორმების შესახებ, თუმცა ამ პათოლოგიათა შეფასებისა და დიაგნოსტირებისთვის საკმარის ინფორმაციას და რესურსს ეს სილაბუსები არ იძლევა. შესაბამისად, ბუნდოვანია როგორ უნდა მოხდეს შეფასებასა და კონსულტირებასთან დაკავშირებულ შედეგზე გასვლა თუ პროგრამის ფარგლებში, ფსიქოლოგიური შეფასების სწავლება არ ხდება.

მიზანშეწონილია გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი და დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც კლინიკურ შეფასებასა და დიაგნოსტირებაზე იქნება მიმართული და პროგრამის მიზანს მეტად მიღწევადს გახდის.

ასევე, ერთ-ერთი სასწავლო კურსის - „ფუნქციონირების პატერნებისა და პიროვნებათშორისი ურთიერთობების აშლილობები“ - სილაბუსში ვკითხულობთ, რომ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი „შეძლებს შიზოფრენიის, დისოციაციური (კონვერსიული), ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების, დეპრესიის და პიროვნული აშლილობის კონკრეტული ტიპების შემთხვევაში დაავადების მართვას.“ ბუნდოვანია რა იგულისხმება მართვაში. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მაგ. შიზოფრენიის მართვა პირველ რიგში მედიკამენტოზური მკურნალობის დახმარებით ხდება და შესაბამისად, ამის კომპეტენცია მხლოდ ფსიქიატრს აქვს (არავითარ შემთხვევაში კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრს).

მიზანშეწონილია, გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი და მოხდეს მათი რეფორმულირება პროგრამის მიზნებისა სფეროს მახასიათებლებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი კომპონენტი და პროგრამის ძირითად საგნებს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ი (მაგ. „თვისებრივი კვლევის მეთოდები“);
- მიზანშეწონილია გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი და დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც კლინიკურ შეფასებასა და დიაგნოსტირებაზე იქნება მიმართული და პროგრამის მიზანს მეტად მიღწევადსა გახდის.

○ მიზანშეწონილია, გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი და მოხდეს მათი რეფორმულირება პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას და მათ ტრანსფერს პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან, პროგრამიდან და ინტერვიუებიდან გახდა ნათელი, პროგრამა ერთი მხრივ, ხელს უწყობს სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა „სპეციალური სტატისტიკური პროგრამა სოციალური მეცნიერებებისათვის SPSS“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ (30 კრედიტი). სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, როგორც წესი, სტუდენტს უწევს სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ინტეგრირება, მაგრამ მხოლოდ კვლევის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების ცოდნა, კვლევის მეთოდების ცოდნის გარეშე გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს, მით უმეტეს, თუ კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში ჩატარებული კვლევები უფრო თვისებრივ ხასიათს ატარებს (აღნიშნული ინტერვიუების პროცესშიც გამოვლინდა). შესაბამისად, კვლევითი კომპონენტის გაძლიერება მოცემული პროგრამის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია პროგრამაში შემავალი „პროფესიული პრაქტიკით“ (10 კრედიტი) და ისეთი სასწავლო კურსებით როგორიცაა: „არტთერაპია; „ფსიქოსინთეზი“, „ნევროზული რეგისტრის აშლილობები და კბთ“, თუმცა პრაქტიკული კომპონენტის - შეფასებისა და დიაგნოსტირების პრაქტიკული კურსის - გარეშე ნაკლებად

მიღწევადია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. ამდენად, რეკომენდირებულია დაიხვეწოს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი აქტივობებისა და შინაარსის თვალსაზრისით. დეტალურად აღიწეროს შეფასების მექანიზმები, სუპერვიზორის ფუნქციები და დაემატოს რელევანტური საგნები (მაგ. „ფსიქოლოგიური შეფასება და დიაგნოსტირება“) საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რაც განსაზღვრულია ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკით. უნივერსიტეტში აქტიურად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი. სტუდენტები სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ყოველწლიურად მონაწილეობენ საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციებში. საუკეთესო კვლევის მასალები ბსუ-ს მიერ მხარდაჭერილია ბეჭდური გამოცემებისა და წამახალისებელი დაფინანსების სახით. ბსუ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევების სამსახური და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთანინტერვიუები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია პროგრამამ მეტად უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული, სტუდენტზე ორიენტირებული, სწავლა/სწავლების მეთოდები და აქტივობები განაპირობებენ ამ კურსის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა/სწავლების მეთოდებს: ლექციას, ლაბორატორიულ მეცადინეობას, ჯგუფურ მუშაობას, სასწავლო/საველე პრაქტიკის მეთოდებს. სწავლება განხორციელდება სხვადასხვა აქტივობით: ვერბალური, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, გონებრივი იერიში (brain storming), (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL), ელექტრონული სწავლება (El.Lerning), დაკვირვება (აღწერა), შედარების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი და სხვა. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლა/სწავლების მეთოდების და აქტივობების კომბინაცია. სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სწავლა–სწავლების მეთოდები, რომლებიც ასახულია სილაბუსებში, მათთვის მისაღებია.

სწავლება–სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სასწავლო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე და სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. შესაძლებელია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

აგრეთვე, ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებულია განსაკუთრებული საგანმანათ-ლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელი ჩართულობის მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვას მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები პასუხისმგებელი პედაგოგის მიერ შესაბამის სილაბუსში აისახება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37

○ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთა ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის, წარმოადგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც გაწერილია ''სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში'', წარმოდგენილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სტუდენტთა გზამკვლევში და სტუდენტებს ზეპირსიტყვიერად ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ, ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალეობასა და ობიექტურობას. სასწავლო კურსების სილაბუსებში (მაგ. SPSS, ფსიქოსომატიკა, კრიზისული ფსიქოლოგია, არტთერაპია, ნევროზული რეგისტრის აშლილობები და კბთ, ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციათა აშლილობები) გაწერილია შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშული არის მეტად უნიფიცირებული და ნაკლებად სპეციფიკური და მორგებული კონკრეტული კურსის სწავლის შედეგზე, რაც აჩენს შეფასების კომპონენტს, მეთოდსა და სწავლის შედეგს შორის შესაბამისობის გაზრდის საჭიროებას. აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს ტრენინგებში სწავლის თანამედროვე

მეთოდების გაცნობისა და დანერგვის მიზნით, რაც დასტურდება აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგებითაც.

ინფორმაცია შეფასების კომპონენტების, ფორმებისა და მეთოდების შესახებ ცნობილია სტუდენტებისთვის, ერთი მხრივ, მიწოდებული სილაბუსების საშუალებით, ხოლო, მეორე მხრივ, გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის გაცნობის გზით. სტუდენტები ადასტურებენ აღნიშნულს.

სტუდენტები იღებენ მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომლებიც არის, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი, ლექტორები ნაშრომებს უკეთებენ კომენტარებს ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, რაც სტუდენტს აძლევს შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას. შეფასებები იტვირთება ელექტრონულ პორტალზე. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება სტუდენტისთვის არის არადამაკმაყოფილებელი, უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის მექანიზმი, რომლის პროცედურების შესახებაც სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას.

შეფასების ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტს გააჩნია პლაგიატის გამოსავლენი პროგრამა, პლაგიატზე რეაგირების პროცედურა არის გაწერილი. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას ამის შესახებ, სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება სწორედ ამ მექანიზმით.

სამაგისტრო ნაშრომების დაცვა არის საჯარო, დაცვას ესწრება კომისია, ნაშრომს დაცვისთვის ვიზირებას აძლევს რეცენზენტი. ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, საჯარო დაცვის ფარგლებში. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის გამოყენებით, კომისიის მიერ, დახურულ სხდომაზე.

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება რიგი ცვლილებები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტების თქმით, მათი გამოკითხვის შემდეგ განხორციელდა ცვლილებები პროგრამაში, დაემატა სასწავლო კურსები, შეფასების მეთოდები გახდა მეტად მრავალფეროვანი და პრაქტიკული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ''სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი''
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ელექტრონული პორტალი
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია
- ''აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი''
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები იყოს მეტად სპეციფიკური კონკრეტული კურსებისთვის, რაც განაპირობებს მათ შესაბამისობას სწავლის შედეგებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული პორტალი არის გამართული, ასახულია სტუდენტისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია; ხელმისაწვდომია ელექტორნული ბიბლიოთეკა, რომელშიც იძებნება სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, კლასიკური და თანამედროვე სამეცნიერო კვლევების ამსახველი სტატიები; არის მარტივი საკომუნიკაციო საშუალება სტუდენტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალს შორის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✔		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის: ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. ინფორმაცია მიეწოდებათ, როგორც ელექტრონულ პორტალზე, ისე SMS შეტყობინებების სახით. სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილია საათები, კონსულტაციების განრიგი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ მაგისტრანტებს აქვთ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ. უნივერისტეტში არსებული სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მაგისტრანტებს მიეწოდებათ ელექტრონულ პორტალზეც, რაც ინტერვიუს მიმდინარეობის პროცესში თავადაც დაადასტურეს. ამავე დეპარტამენტის ფუნქციაა სტუდენტების ჩართვა ზემოთ აღწერილ პროცესებში, მათ შორის, გაცვლით პროგრამებში, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრანტებს აქვთ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების გამოცდილებაც. უნივერსიტეტი თავადვე აორგანიზებს სამეცნიერო კონფერენციებს, რომლებშიც კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრანტებიც იღებენ მონაწილეობას, აკრედიტაციის ვიზიტის დროს, გამოკითხვის პროცესში სტუდენტებმა დაასახელეს კონკრეტული კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ. კონფერენციაში გარკვეული წარმატების მიღწევის შემთხვევაში სტუდენტი წახალისდება ფულადი ჯილდოთი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ბსუ-ს წესდება ○ საკონსულტაციო განრიგი ○ სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულება ○ ელექტრონული პორტალი ○ სტუდენტური კონფერენციები ○ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, ან დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. სამაგისტრო ნაშრომის თემას ირჩევენ სტუდენტები და ათანხმებენ ხელმძღვანელთან, თემის შერჩევა და დამტკიცება ხდება პირველივე სასწავლო წელს, თუმცა სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ცვლილების შეტანა. „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესის'' მიხედვით, აკადემიურ პერსონალს არ აქვს უფლება უხელმძღვანელოს 5-ზე მეტ სამაგისტრო ნაშრომს. კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრანტებს ძირითადად ხელმძღვანელობს სამი ადამიანი, რაც აჩენს იმის ეჭვს, რომ მათი სამუშაო დატვირთვა საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, სასურველია ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობის ზრდა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღანელები აქტიურად არიან ჩართულნი ნაშრომის შესრულების თითოეულ ეტაპზე, კონსულტაციების განრიგი და განსახილველი საკითხები ასახულია სილაბუსში. კონსულტაციას უწევენ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: საკვლევი პრობლემის აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგები, თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა, კვლევის მეთოდის შერჩევა, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, გაფორმების წესის გაცნობა, პრეზენტაციის მომზადება კომისიაზე წარსადგენად. ამასთან, სასურველია იმის უზრუნველყოფა, რომ დაცული სამაგისტრო ნაშრომები სტატიის სახით გამოქვეყნდეს ადგილობრივ და/ან

საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემულია სამაგისტრო ნაშორმის გაფორმებისა და წარდგენის სტანდარტი. ნაშრომი მოწმდება პლაგიატის გამოსავლენ პროგრამაში. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია აღნიშნული სტანდარტებისა და პლაგიატზე რეაგირების პროცედურის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ კონსულტაციების განრიგი ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი ○ ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომთა ხელმძღვანელების რაოდენობა. • საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების მისაღწევად, სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სტატიის სახით გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა	✔			

მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს შესაბამის სამეცნიერო ხარისხსა და აქვს პრაქტიკული მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. თუმცა, სასურველია, პროგრამაში არსებულ პრაქტიკულ სასწავლო კურსებს უძღვებოდნენ ამ დარგში სიღრმისეული თეორიული ცოდნის გარდა, შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს ურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 1 პროფესორი ემერიტუსი, 1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტი, 8 სპეციალისტი.

აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურსის წესით. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედკანონმდებლობასთან. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება

პირის პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობით საკონკურსო თანამდებობასთან.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ პროფესორებსა და მოწვეულ პედაგოგებს აქვთ ფსიქოლოგიის დარგში სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება; ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტპროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს პროგრამის ეფექტიანად წარმართვისთვის, წარმოდგენილ პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღანელობის გათვალისწინებით. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ჩართულია აგრეთვე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაშიც, რაც ბუნებრივია, ზრდის მათ აკადემიურ ვალდებულებებს. აღნიშნული კი ცხადყოფს აკადემიური პერსონალის ზრდის აუცილებლობას. შესაბამისად, პროგრამის ეფექტიანად წარმართვისთვის, მიზანშოწონილია აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი ზრდა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში შედის ისეთ საქმიანობები, როგორიცაა სილაბუსების შემუშავება და მათი პერიოდული გადასინჯვა; სალექციო მეცადინეობების ჩატარება; პრაქტიკული სასემინარო დავალებების მომზადება; შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება; პრაქტიკული სავარჯიშოების მომზადება; სტუდენტებისათვის კონსულტირების გაწევა; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში ჩართვა.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები მეტწილად უზრუნველყოფილნი არიან საჭირო რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- უსდ-ს ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

○ მიზანშოწონილია აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი ზრდა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პროგრამაში არსებულ პრაქტიკულ სასწავლო კურსებს უძღვებოდნენ ამ დარგში სიღრმისეული თეორიული ცოდნის გარდა, შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პირების შეფასებას. შეფასებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსის მართვის სამსახური. თითოეული მათგანი კონკრეტულ ასპექტს აფასებს, როგორიცაა სამუშაო აღწერილობა, ოპერაციული მიზნები, საბაზისო კომპეტენციები, ქცევითი კომპეტენციები და კვლევითი საქმიანობა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებს აწვდის ინფორმაციას შეფასების შედეგებზე და ამ შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და

სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონეტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

ბსუ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის/მივლინების დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცედურებს არეგულირებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი, რომელიც ბსუ-ში დასაქმებულ პირს საშუალებას აძლევს, პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებებში.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი შიდა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა, თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება.

უნივერსიტეტში მოქმედებს ადმინისტრაციის მიერ პერსონალის წამახალისებელი ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემსახურება პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას, რაც რეგულირდება ბსუ-ს შინაგანაწესის და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციებით.

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, გულისხმობს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტერნაციონალიზაციას, გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიურ თანამშრომლობას და კვლევების ინტერნაციონალიზაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პირები აქტიურად თანამშრომლობენ უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, უნივერსიტეტში მოქმედ “ERASMUS+“ გაცვლითი პროგრამის სხვადასხვა პროექტში.

უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამაში ჩართული პირების განვითარებაზე. როგორც ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუებიდან და თვითშეფასების ანგარიშიდიან ირკვევა, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევებსა თუ

კონფერენციებში, სიმპოზიუმებში. ისინი აქვეყნებენ სახელმძღვანელოებს და სამეცნიერო ნაშრომებს უცხოეთის და ადგილობრივ გამოცემებში. თუმცა, ასევე ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ მოწვეული პერსონალი ნაკლებად არის ჩართული როგორც კვლევით, ისე სხვა პროფესიულ განმავითარებელ საქმიანობებში. შესაბამისად, სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად გააქტიურდნენ, როგორც კვლევითი საქმიანობის (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ს ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარსხის სამსახურთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად აქტიურად დაკავდნენ როგორც კვლევითი საქმიანობით (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ის მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან, პანდემიის პირობებში პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება ექსპერტთა მხრიდან შემოფარგლული იყო თვითშეფასების ანგარიშით და ინტერვიურების მიმდინარეობისას ინფორმაციის დაზუსტებით. რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რომ თბილისის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, სადაც განლაგებულია სასწავლო აუდიტორიები, კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით. პროგრამას ემსახურება ფსიქოლოგიის კლინიკა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, ბიბლიოთეკა, განთავსებულია ბსუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში. აერთიანებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საბიბლიოთეკო რესურსს. ამდენად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შესაბამისი მიმართულებების შენობებში განთავსებული ბიბლიოთეკებიც. ბსუ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ბსუ-ში მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დროულ და თანამედროვე ინფორმაციულ მხარდაჭერას. ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს ბიბლიოთეკის დებულება. სტუდენტებს შეუძლიათ ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობაც. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემებიც. საჭირო ლიტერატურის დროული და შეუფერხებელი მოძიებისთვის შექმნილია სისტემური, თემატური და ელექტრონული კატალოგები.

ინტერვიუებიდან და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ნათელი გახდა რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, მემორანდუმის საფუძველზე, წვდომა აქვთ წიგნად ფონდთან და სამეცნიერო პერიოდიკით აღჭურვილი აკაკი წერეთლის საჯარო ბიბლიოთეკასთან.

უნივერსიტეტში ეტაპობრივად ხდება წიგნადი ფონდის განახლება. ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL" კონსორციუმის წევრად, რაც საშუალებას აძლევს ბსუ-ს ბიბლიოთეკის მომხმარებელს, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

EBSCOHost (http://-search.¬epnet.com), (Cambridge University Journals (http://journals. cambridge.org), Oxford University Journals (http://www.oxfordjournals.org), Oxford Reference Online (http://www.-oxfordreference.com), Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing. org), BioOne (http://bioone.org)) (დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html).

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი, როგორც რაოდენობრივად, ასევე, ხარისხობრივად უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბსუ-ში ფუნქციონირებს სინქრონული თარგმნის აპარატურით აღჭურვილი კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი, სააქტო და სპორტული დარბაზი, ღია მოედანი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის, ფუტსალის, კრივის, მაგიდის ჩოგბურთისა და მკლავჭიდის წრეებში, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს საუნივერსიტეტო ლიგისა და საუნივერსიტეტო ჩემპიონატის თამაშებში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის კორპუსები აღჭურვილია პანდუსებით. ასევე, პანდუსითაა დაკავშირებული ერთმანეთთან I და მე-2 კორპუსი. გარდა ამისა, მე-2 სასწავლო კორპუსს, ეზოს მხრიდან, აქვს პანორამული ლიფტი შშმ პირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო რესურსი; ○ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; ○ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსები, რაც ეკონომიკურად მიღწევადია. ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები აკადემიური და დამხმარე პერსონალის ანაზღაურებისთვის, პრაქტიკის ობიექტისათვის, ინფრასრუქტურისა და ბიბლიოთეკისათვის. კერძოდ, 1 სასწავლო წლის შემოსავალი -112 500 ლარია; პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული და აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება (პირდაპირი დანახარჯები) - 35 870 ლარი; არაპირდაპირი დანახარჯები (პროგრამის განხორციელებასა და განვითარებსთან დაკავშირებული) – 45 000 ლ; სულ - 80 870 ლ; მოგება - 31 630 ლ. ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რომ უსდ-ის ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს თანხა, რომელიც აქტიურადაა მიმართული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებაზე. ვიზიტისას არაერთხელ აღინიშნა, რომ კორონავირუსით შექმნილი სიტუაციის ფონზე ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების	✔			

რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებები სტუდენტზეა ორიენტირებული და სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუჯობესებას ემსახურება.

ურუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა აქტიურ ჩართულობას; პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას; სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხს; სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას; პერიოდულ და ეფექტურ მონიტორინგს, შეფასებას და რეაგირებას.

საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმებს, რაც ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებული და მოქმედი ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად, იგი ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს.

აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას.

დოკუმენტების შესწავლა, გასუბრების შედეგები აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის

დამოკიდებულებისა და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება, პერსონალის საქმიანობის, სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება. მიმართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან.

ბსუ-ში 2017 წლიდან მოქმედი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი ერთ-ერთი ის მექანიზმია, რომელიც ხელს უწყობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფას. შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის- www.apa.bsu.edu.ge გამოყენებით. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, შემუშავებული და განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები.

შეფასების პროცესში გამოიყოფა სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.

ამ მიმართულებით მუშაობის მიმართულებებია:

1. სამეცნიერო ნაშრომები/გამოგონება/პატენტი (ქვემოთ მოყვანილია) ან ბ) ქვეპუნქტის შესრულება):

   ა) სამეცნიერო ნაშრომების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;

   ბ) გამოგონების/პატენტის რეგისტრირება ეროვნულ ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში.

2. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა: სამეცნიერო ღონისძიების აბსტრაქტების/ გამოცემების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;

3. გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში (საერთაშორისო, ეროვნულ ან/და საუნივერსიტეტო) მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების (80% და მეტი) მიღება;

4. სხვა სამეცნიერო აქტივობები: სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა ან სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა ან საბაკალავრო/სამაგისტრო /სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა ან სამეცნიერო სემინარების ჩატარება ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობa ან სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა ან მონოგრაფიის რედაქტორობა ან სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება ან საექსპერტო მომსახურება ან სხვა;

აღსანიშნავია, რონ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, სტუდენტების, პროფესორების) მიერ.

ასევე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები, დადგინდა შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები.

შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ ფსიქოლოგიის სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ

გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის. შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა ხდება სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება რეკომენდაციები, რომლის საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავ-ლო პროცესის ხარისხის ამაღლებას. რეაკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები) და კურიკულიუმის კომიტეტი. პროგრამის განმახორციელებელმა პროფესორ-მასწავლებლებმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად იმუშავეს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხ-ვრაზე. რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფთან გასუბრებით. მათი თქმით, გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინების შედეგად, გადაიხედა კურსების თემატიკა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები. უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობას და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს, როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა შეფასების მიზნით აქტიურად გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემაც, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5450_1.pdf **დანართი 5.1.1;** ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“, **დანართი 5.1.2;** ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ , **დანართი 5.1.3;** ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“, https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf **დანართი 5.1.4;** ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის № 66 დადგენილება - „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“. ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/93 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, **დანართი 5.1.5;** ○ ბაზრის კვლევის ანალიზი და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმიN2 **დანართი 5.1.6;** ○ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება ,,ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; **დანართი 5.1.7** ○ დარგობრივი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორები. **დანართი 5.1.8;** ○ პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, იხ. www.apa.bsu.edu.ge **დანართი 5.1.9;** ○ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები იხ. ბმულზე https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html, **დანართი 5.1.10;** ○ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისისN5 გადაწყვეტილება ○ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“. **დანართი 5.1.11.** ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, მოქმედებს გარე ხარისხის შეფასების სისტემა. რომელიც ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათ-ლებლო პროგრამების აკრედიტაციის“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორი-ზაციის“ დებულებებს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა. საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით ირკვევა, რომ მიღებული რეკომენდაციები აისახა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. გარე შეფასების მიზნით, პროგრამა გაიგზავნა ოკლოჰამას (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორთან. გარე შემფასებლის მიერ პროგრამა შეფასდა დადებითად, წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, რეკომენდაციები ეხება: ✓ პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, რაც დამსაქმებელთა მხრიდან კადრების შერჩევის მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება; ✓ ფსიქოლოგიური ტრავმის შესახებ სასწავლო კურსის დამატებას; ✓ ფსიქოლოგიური კრიზისის მართვის შესახებ სასწავლო კურსის შექმნას; საგანმანათლებლო პროგრამაში SPSS სწავლების კომპონენტის შეტანას. პროგრამის გარე შეფასების მიზნით, ასევე, მოხდა მისი განხილვა დამსაქმებლებთან. დამსაქმებლებმა ინტერვიუში დაასახელეს მნიშვნელოვანი ის სამი კომპეტენცია, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის კურსდამთვრებული - მათთან დასაქმების შემთხვევაში, ესენია: თეორიული ცოდნა. უცხო ენის ფლობის კომპეტენციები და პრაქტიკული უნარები, რომელთა შორის გამოყვეს კუსდამთავრებულის მიერ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში მოქმედების უნარი. დამსაქმებლებმა დადებითად შეაფასეს კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია, ცოდნა და უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ასევე აღნიშნეს, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები მათთვის არის საინტერესო და პერსპექტიული კადრი. დამსაქმელების რეკომენდაციები ეხებოდა მათი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ტრენინგების კურსის ჩატარებას მაგისტრანტებისთვის, წარმატებულ კურსდამთავრებულთა სარეკომენდაციო სიის მოწოდებას, რომელიც ბსუ-ს ელექტრონული პლატფორმის portal.bsu.eduge მეშვეობით მარტივად არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნა, რომ პროგრამის მომზადებისას მოხდა პროგრამის დადარება ისეთ უცხოურ საერთაშორისო აკრედიტირებულ პროგრამებთან, როგორიცაა : 1. მურსიას კათოლიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი https://international.ucam.edu/studies/bachelor-in-psychology-on-campus/curriculum 2. გენტის უნივერსიტეტი, ბელგია https://studiegids.ugent.be/2020/EN/FACULTY/H/BACH/HBPSYCKL/HBPSYCKL.html

3. უტრეხტის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები https://www.uu.nl/masters/en/clinical-psychology/courses
4. პლიმოსის უნივერსიეტი, გაერთიანებული სამეფო https://www.plymouth.ac.uk/courses/postgraduate/msc-clinical-psychology?utm_source=google&utm_medium=rsa-eta&utm_content=dsa&utm_term=&campaign_id=13351450484&gclid=CjwKCAjwn6GGBhADEiwAruUcKpyl_w3ajuQdFIZCulQzH2YlNiZLgkgNRU0Co4Cf7aYlGk4zRtrfdBoCCqsQAvD_BwE

აღნიშნულ პროგრამებში არის წარმოდგენილი პროგრამაში არსებული კურსების მსგავსი კურსები, იდენტურია კრედიტებიც ზოგ სასწავლო კურსში, რაც დასტურდება უცხოური საერთაშორისო აკრედიტირებული პროგრამებების მოკლე ანოტაციების წარმოდგენილი დოკუმენტით და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ"; **დანართი 5.2.1;**
- საგანმანათლებლო პროგრამა - **დანართი 5.2.2;**
- ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები **დანართი 5.2.3;**
- პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება **დანართი 5.2.4**;
- ბაზრის კვლევის ანალიზი და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმიN2 **დანართი 5.2.5;**
- დამსაქმებელთა გამოკითხვა **დანართი 5.2.6**
- .კურსდამთავრებულთა გამოკითხვა **დანართი 5.2.7**
- ინტერვიუს/ გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების,

დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით ირკვევა, რომ ბსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობას, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების, დასაქმების ბაზრის კვლევის ინსტრუმენტების სრულყოფას და მართვის პროცესში მათ გამოყენებას. აკადემიური პერსონალის შეფასების წესში მოცემულია პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში მათი მონაწილეობის შეფასება, რომლის შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში. საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა. 2017 წლიდან ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვაც. შემუშავებულია სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა. სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომ-პეტენციის მიღწევის დონე. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებების საფუძველზე ნათელია, რომ გარე შეფასების ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, ხორციელდება პროგრამის განხორციელებაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს დარგობრივ დეპარტამენტში, რის საფუძველზეც იგეგმება ცვლილებების შეტანა. ცვლილებები განიხილება კურიკულუმის კომიტეტისა და ფაკულტეტის საბჭოზე. შემდეგ დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ცვლილებების ჩამოყალიბებაში დიდი ყურადღება ექცევა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წინადადებებს. ასევე, ყურადსაღებია სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების მეთოდების, სწავლის შედეგების, გამოყენებული ლიტერატურის მიმართ. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, გასაუბრებებით. პროგრამის სხვადასხვა მიმართულებების შეფასების მიზნით ჩატარდა გამოკითხვა,

რომელშიც მონაწილეობდნენ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. გამოკითხვების შეჯამების საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამის ისეთი ძლიერი მხარეები, როგორიცაა: მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; კომფორტული სასწავლო გარემო; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოცდილება და პროფესიონალიზმი; კვლევითი კომპონენტების განხორციელებისთვის საჭირო თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, სხვადასხვა მხარეების გამოკითხვებით და მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები: სილაბუსებში სასწავლო თემატიკის შესაბამისად, დადგინდა სწავლების თანამედროვე მეთოდების შესაბამისობა ცალკეულ თემასთან, განახლდა სასწავლო კურსის შინაარსი, გაიზარდა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კომპონენტების წილი. უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებელთა რეკომენდაციით პროგრამაში შევიდა ახალი სასწავლო კურსი - ფსიქოტრავმატოლოგია. კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათი რეკომენდაციით პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი: ნევროზული რეგისტრის აშლილობები. სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაში გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობაც. პროგრამაში შეთავაზებულია ახალი არჩევითი კურსები: ნეირო-ლინგვისტური პროგრამირების ფსიქოტექნოლოგია; სუიციდის ფსიქოლოგია და პრევენცია; ადაპტური ქცევისა და ემოციური დარღვევების შეფასების ინსტრუმენტები; ინკლუზიური განათლება; რელაქსაცია; ფსიქოტრავმატოლოგია; მედიტაცია; ფსიქოსინთეზი. შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შეფასების შედეგები გამოყენებულია პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf **დანართი 5.3.1.** ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“; პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა იხ. www.apa.bsu.edu.ge **დანართი 5.3.2;** ○ სტუდენტთა გამოკითხვები https://portal.bsu.edu.ge/ **დანართი 5.3.3;** ○ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები **დანართი**

5.3.4; ○ პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა; **დანართი 5.3.5.** ○ გასაუბრებები. ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✔			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა,
უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✔		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✔		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✔			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✔			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✔			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ნანა ბურდული

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ნათია სორდია

სალომე საბიაშილი

ირმა ქურდაძე

ჯინა შოგირაძე